საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 9/13/2/17 "18" 03 2015წ.

სსიპ არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის
სანებართვო დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლ.ძაგნიძეს

ასლი:
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტროს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ა.წ 25 თებერვლის N07-13/295 და11 მარტის N07-13/422 თქვენი წერილებით წარმოდგენილი საკითხების შესახებ გაცნობებთ სააგენტოს პოზიციას.

მიეცა დადებითი შეფასება:

AR1260566 06.03.2015 ვ. აბაშიძის ქ. N6-ში დაშენების პროექტს;
AR1282483 25.02.2015 ივ. ჯავახიშვილის ქ. N82ა-ში სასტუმროს პროექტს და მშენებლობის ნებართვას;
AR1291728 06.03.2015 მარტყოფის შესახვევი N8-ში, მარტყოფის შესახვევი N8-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N26/16)/მარტყოფის შესახვევი N8/მარტყოფის შესახვევი N8-ის მიმდებარედ დემონტაჟის პროექტს;
AR1289336 07.03.2015 გუთნის I ჩიხი, N2ა-ში დემონტაჟის პროექტს - მიეცეს დადებითი შეფასება მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას, ესკიზური პროექტის შეთანხმების გარეშე;
AR1281171 23.02.2015 გრიშაშვილის ქ. N29/გრიშაშვილის ქ. N29-ის მიმდებარედ სასტუმროს პროექტს;
AR1292625 10.03.2015 ლესელიძის II ჩიხი N7, ლესელიძის II ჩიხი N6-ში კოტე აფხაზის ქ. II ჩიხი N9-ში ქვაბულის კედლების გამაგრებისა და დემონტაჟის პროექტს;
AR1292587 10.03.2015 ლესელიძის ქ. N37-ში ქვაბულის კედლების გამაგრებისა და დემონტაჟის პროექტს;
AR1289331 26.02.2015 თარხნიშვილის ქ. N2, N3-ში სამშობიარო სახლის მიმდებარედ/თარხნიშვილის ქ. N2-ში (ყოფ. კობის ქ. N4) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებულ პროექტს და მშენებლობის ნებართვას.

AR1282974 09.03.2015 გოგებაშვილის ქ. III შესახვევი, II ჩიხი, N4-6 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტს და მშენებლობის ნებართვას;

დამატება

07-13/295

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური
№ 07-13/422
19 03 2015 წელი
თბილისი 0160 ქ. შარტავას ქ. №7

თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394
www.heritagesites.ge

AR1284820 06.03.2015 ჩიტაძის ქ. N11-ში დაშენების კორექტირებულ პროექტს და მშენებლობის ნებართვას, შეთანხმებული პარამეტრების ზრდის გარეშე.

განმეორებით წარმოადგინონ:

AR1292017 09.03.2015 დგებუაძის ქ. N6-ში ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების საკითხი - არ არის გათვალისწინებული წინა განხილვისას გამოთქმული შენიშვნები. შენობა სიმაღლეში შესამცირებელია;

AR1282990 10.03.2015 მელიქიშვილის ქ. N5-ში დემონტაჟის პროექტი - ტერიტორიის სამომავლოდ ათვისების კორექტირებული ესკიზური პროექტი ან ტექნიკური დასაბუთება.

უარი ეთქვა:

AR1290070 09.03.2015 ვ. ანჯაფარიძის ქ. N2ა-ში ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების საკითხს - ესკიზური პროექტით წარმოდგენილია მეტად დიდი მოცულობის შენობა, რომელიც ზღუდავს გვერდით არსებული ძეგლისა და ისტორიული განაშენიანების ვიზუალურ აღქმას. აქედან გამომდინარე, პარამეტრების მატება არამიზანშეწონილია.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ:

AR1291559 06.03.2015 ზ. დუმბაძის ქ. N24/გერგეთის შესახვევი N3/გერგეთის შესახვევი N3-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 70/049)/ოქროყანა (ნაკვეთი 06/066)/გერგეთის შესახვევი N3-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 06/67 მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის საკითხი - გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით სააგენტო არ არის წინააღმდეგი, აღნიშნულმა წინადადებამ არ უნდა გამოიწვიოს შეთანხმებული პროექტის მოცულობის გაზრდა. ამასთან, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ქალაქ თბილისის მერიის ნებართვის გამცემმა ორგანომ.

რაც შეეხება, დავით აღმაშენებლის გამზ. N178-ში რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის საკითხს - (AR1285329), აღნიშნულ ობიექტს (პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტი) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანებით მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (ბრძანების დანართში ობიექტის მისამართად დაფიქსირებულია დავით აღმაშენებლის გამზ. N180, რიგითი N527; სააღრიცხვო ბარათის N010101097) შესაბამისად, მასზე განსახორციელებელი ქმედებები წარმოადგენს არა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში, არამედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოებს, რისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ სააგენტოში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე